ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

დანართი №5

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

დაწესებულების სურვილია დაამატოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასტუმრო მომსახურება (დუალური მიდგომით);
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სარესტორნო მომსახურება (დუალური მიდგომით);
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კულინარიის ხელოვნება (დუალური მიდგომით);
- პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მებაღე (დეკორატიული მცენარეების).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ქეთევან გელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ნია გუგუნავა

II. დაწესებულების მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" მისია შეესაბამება კოლეჯის საქმიანობის პროფილს და მასში განსაზღვრულია შემდეგი: ,,პროფესიული განათლების განვითარებით უზრუნველყოს საზოგადოების წინსვლა; კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მეშვეობით, მოამზადოს კონკრეტული დარგის ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს მუდმივად ცვალებად, განვითარებაზე ორიენტირებულ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციას, საკუთარი სფეროს დინამიურ განვითარებას. ასეთი ადამიანური რესურსი ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას. ამასთან, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიული განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს და პროფესიული სტუდენტის, შრომის ბაზრის, დამსაქმებლის, საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ხარისხის მართვის სისტემების დანერგვას".

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია როგორც მისია, ასევე, ხედვა და ღირებულებები, რომელთა გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

<u>სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“</u> მიერ მოთხოვნილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სასტუმრო, რესტორანი და კვება - საფუძველზე შექმნილი „სასტუმრო მომსახურების“ (დუალური მიდგომით), სარესტორნო მომსახურების“ (დუალური მიდგომით), „კულინარიის ხელოვნებისა“ (დუალური მიდგომით) და პროფესიული სტანდარტის - მებაღე (დეკორატიული მცენარეების) - საფუძველზე შექმნილი „მებაღის“ (დეკორატიული მცენარეების) (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რომლებიც დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულია სათანადო წესით, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით № 01-04/106 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები და პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის ბრძანებით № 01-04/95.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლის, სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებს ახლავს სათანადოდ ადაპტირებული მოდულები, ხოლო პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროგრამას სილაბუსები.

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა პროგრამების, მოდულებისა და სილაბუსების გადამოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“ (დუალური მიდგომით), სარესტორნო მომსახურება“ (დუალური მიდგომით), „კულინარიის ხელოვნება“ (დუალური მიდგომით) მითითებული იყო პრაქტიკის ობიექტები მისამართის გარეშე. პროგრამის ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ჩაემატებინათ მასში პრაქტიკის განხორციელების მისამართები, რაც გათვალისწინებული და ვიზიტის ფარგლებშივე იქნა წარმოდგენილი მოდიფიცირებული სახით.

პროფესიული (საგნობრივი) საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღე (დეკორატიული მცენარეების) გადამოწმებისას დაფიქსირდა მცირე უზუსტობა პროფესიულ სტანდარტთან (010152) მიმართებაში. კერძოდ, პროფესიული სტანდარტის სწავლის შედეგებში მითითებული ხაზვის საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება არ იყო ასახული საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში, რის შესახებაც პროგრამის ხელმძღვანელსა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ეცნობათ ინტერვიუს დროს. მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა მოსაზრება და ხაზვის საფუძვლები შეიტანეს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში ,,ხატვა, ფერწერა, გრაფიკა“ 15 საათის მოცულობით, რაც სავსებით საკმარისია მებაღის პროფესიისთვის.

ასევე, აღნიშნული პროგრამის სილაბუსებში საკონტაქტო საათებში არ იყო გამოყოფილი სალექციო და პრაქტიკული საათები, რიგ შემთხვევებში კი სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები იყო შეუსაბამო. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა ეს შენიშვნებიც და ვიზიტის დასრულებამდე გაასწორეს ისინი და წარმოადგინეს მოდიფიცირებული სახით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
	სასტუმრო მომსახურება	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	94

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

			სასტუმრო მომსახურებაში	
	სარესტორნო მომსახურება	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში	84
	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში	85
	მებაღე (დეკორატიული მცენარეების)	მესამე	მებაღე (დეკორატიული მცენარეების) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ წარმომადგენლების მიერ მოდიფიცირებული სახით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის 1.1. პუნქტის მოთხოვნებს.

დასტურდება:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება № 01-04/106;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასტუმრო მომსახურება (დუალური მიდგომით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სარესტორნო მომსახურება (დუალური მიდგომით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კულინარიის ხელოვნება (დუალური მიდგომით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის ბრძანება № 01-04/95;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მებაღე (დეკორატიული მცენარეების);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს ბრძანება № 01-04/111.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯს „ახალი ტალღა“ აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- კოლეჯის მოკლე აღწერილობა;
- კოლეჯის მისა, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული სლოგანი;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით გაწერილია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა;
- პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
- პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ბეჭდური ვერსია განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

კატალოგის ელექტრონული ვერსიის განახლების თარიღია 2016 წელი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით განახლება არ განხორციელდა, ვინაიდან მასში ცვლილება არ შესულა.

სტანდარტის 1.2 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" ვებგვერდი.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სასტუმრო მომსახურება", ,,სარესტორნო მომსახურება" და ,,კულინარიის ხელოვნება" სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება" სარეგისტრაციო კოდით 10117÷3" და ადაპტირებულია სათანადო წესით. საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მებაღე (დეკორატიული მცენარეები)" შექმნილია შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

პროფესიული სტანდარტის (010152) საფუძველზე. თუმცა, ამ უკანასკნელში პროფესიული სტანდარტის სწავლის შედეგების მოთხოვნა - ხაზვის საფუძვლების ცოდნა - არ იყო საავტორიზაციოდ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული, რაც გამოსწორებული იქნა ვიზიტის დასრულებამდე.

სტანდარტის 1.3 პუნქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მებაღე (დეკორატიული მცენარეების) სილაბუსების მოდიფიცირების შემდეგ დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მებაღე (დეკორატიული მცენარეების);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სილაბუსები;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს ბრძანება № 01-04/111.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს „ახალი ტალღა" შემუშავებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ტესტირების ჩატარების დებულების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი. რომელიც დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 11.07.2014 წლის ბრძანებით № 01-05/104. ასევე, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 08.11.2013 წლის ბრძანებით № 99 დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი".

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის ბრძანებებით № 01-04/02 და № 01-04/140 განხორციელებულია ცვლილებები დირექტორის 08.11.2013 წლის ბრძანებაში № 99.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 13.08.2015 წლის ბრძანებით № 01-04/88 დამტკიცებულია ,,მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესახებ";

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 13.08.2015 წლის ბრძანებით №01-04/86 დამტკიცებულია ,,მოდულური პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესი."

სტანდარტის 1.4 პუნქტი არ არის დარღვეული.

დასტურდება:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 08.11.2013 წლის ბრძანება № 99.
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 05.01.2015 წლის ბრძანება № 01-04/02
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 13.08.2015 წლის ბრძანება № 01-04/86
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 13.08.2015 წლის ბრძანება № 01-04/88
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 19.11.2015 წლის ბრძანება №01-04/140
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორის 11.07.2014 წლის ბრძანება № 01-05/104

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფისთვის კოლეჯმა წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ს/კ [redacted]), ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან ს/კ [redacted] და ს/კ [redacted] სსიპ პროფესიული კოლეჯ „ბლექსი"-სთან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაფორმებულ მემორანდუმებში მოქმედების ვადა განსაზღვრულიყო ხელმოწერის დღიდან ამავე მემორანდუმებში მითითებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ვადით და არ ყოფილიყო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მემორანდუმის ხელმომწერ ერთ მხარეს ეძლეოდა უფლება ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება პროგრამების განხორციელების ვადის ამოწურვამდე, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობას. რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული და ზემოთ ჩამოთვლილ მემორანდუმებში შეთანხმებით შევიდა ცვლილება, რაც წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში შეთანხმების ცვლილებების მიხედვით სტანდარტის 1.5 პუნქტი აღარ არის დარღვეული.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ს/კ [redacted]), ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან ს/კ [redacted] და ს/კ [redacted] სსიპ პროფესიული კოლეჯ ,,ბლექსი''-სთან;
- ცვლილებების შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ს/კ [redacted], ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან ს/კ [redacted] და ს/კ [redacted] სსიპ პროფესიული კოლეჯ ,,ბლექსი''-სთან.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯს ,,ახალი ტალღა" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. ასევე, აიღო ინტერვიუები დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისგან, პროფესიული სტუდენტისგან, პროგრამის ხელმძღვანელებისგან და კურსდამთავრებულისგან. მათ დაადასტურეს, რომ პერმანენტულად ხორციელდება პროგრამის განხორციელების შეფასება და შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას და ზედამხედველობას, ასევე პროგრამის შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი. ინტერვიუს დროს მან აღნიშნა, რომ იგი ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ზრუნავს და კონტროლს უწევს პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება–განახლებას; ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მათი მუშაობის სისტემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

შეფასებითა და უწყვეტი განვითარების გზით; ახორციელებს შეხვედრებს კოლეჯის მასწავლებლებთან პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის უკეთ დაძლევის მეთოდების საკითხებზე; ამოწმებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდების სილაბუსებთან შესაბამისობას და ითანხმებს შეფასების ინსტრუმენტს - საგამოცდო ტესტს, ბილეთს, და ა. შ; პერიოდულად ატარებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პედაგოგთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რის საფუძველზეც გეგმავს შესაბამის აქტივობებს; ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის.

ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით, პროფესიული მასწავლებლებისა და დამსაქმებლების ჩართულობით,ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად მუშავდება რეკომენდაციები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით. დამსაქმებელთა ჩართულობა პროფესიული პროგრამების შექმნისა და სრულყოფის პროცესში დადასტურდა პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის დროს მათთან გასაუბრებით. დამსაქმებლებმა წარმოგვიდგინეს კოლეჯის აწ უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულებიც და ისაუბრეს მომავლის პერსპექტივებსა და საჭიროებებზე. ისინი ამჟღავნებდნენ სრულ მზაობას კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო (განსაკუთრებით დუალური პროფესიული პროგრამების) პროგრამების განხორციელებაში ჩართვისას.

ხარისხის მენეჯერმა ასევე აღნიშნა,რომ მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით 2015 წლის ნოემბრიდან კოლეჯში შექმნილია მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. მხარდაჭერის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდება სამუშაო შეხვედრები მოდულური პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან.

სტანდარტის 1. 6 პუნქტი არ არის დარღვეული.

დასტურდება:

- მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ხარისხის მართვის მენეჯერის ჩატარებული შეხვედრების ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „ახალ ტალღა" საკუთრებაშია ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ № 154-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართი 9100 კვ.მ) და ამ ნაკვეთზე განლაგებული 3 სასწავლო და რამოდენიმე დამხმარე შენობა-ნაგებობა, რომელთა საერთო ფართია 7406,5 კვ.მ.

შენობა-ნაგებობა № 1 საერთო ფართი - 1001,9 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 2 საერთო ფართი - 3892,20 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 3 საერთო ფართი - 1695,4 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 4 საერთო ფართი - 309,4 კვ.მ
შენობა-ნაგებობა № 5 საერთო ფართი - 86,2 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 6 საერთო ფართი - 48,8 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 7 საერთო ფართი - 18,5 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 8 საერთო ფართი - 34 კვ.მ.
შენობა-ნაგებობა № 9 საერთო ფართი - 320,1 კვ.მ.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალ ტალღა" სასწავლო ფართი ქ. ბათუმში კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთაში მდებარე შენობის მეორე სართულზე. სულ ფართია 289,4 კვ. მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ № 154	7406,5
2	ქ. ბათუმი კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთა	289,4
	სულ	7695,9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

ურდება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვების აქტები;
- ფართის ფლობის შესახებ საიჯარო ხელშეკრულები;
- სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

1. ქობულეთი, რუსთაველის ქ № 154-ში დაწესებულების ბაზაზე არსებობს 40 სასწავლო ლაბორატორია და 21 აუდიტორია თეორიული სწავლებისათავის;
2. ბათუმი კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთაში დაწესებულების ბაზაზე არსებობს 3 სასწავლო ლაბორატორია და 3 აუდიტორია თეორიული სწავლებისათავის;
3. კოლეჯს გააჩნია ყველა იმ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, რომლის დამატებასაც გეგმავს. ამასთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძალიან კარგ მდგომარეობაშია და ადგილზევე უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სათანადო მომზადებით პრაქტიკის ობიექტებზე წარგზავნას;
4. საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამის დამსაქმებელ ორგანიზაციებთან: ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
5. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადაპტირებულია და უზრუნველყოფილია შშმ პირებისთვის განათლების მიცემისთვის.

სტანდარტი 2.1 არ აის დარღვეული.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

- შენობა-ნაგებობების ოფიციალური აზომვითი ნახაზები;
- ვიზუალური დათვალიერები;
- ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებათა და მცირეფასიანი ინვენტარის ჩამონათვალი;
- სასაქონლო ზედნადებებით და მიღება–ჩაბარების აქტები;
- დამსაქმებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები;

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „ახალი ტალღა“ არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.
ქობულეთში, რუსთაველის ქ № 154-ში მდებარე კოლეჯის პირველი კორპუსში განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები და სამუშაო კაბინეტები ადმინისტრაციისთვის; 2 სველი წერტილი; მეორე და მესამე კორპუსში განთავსებულია სასწავლო ლაბორატორიები და აუდიტორიები; აქ ყველა სართულზე არის 2 სველი წერტილი (ვაჟებისთვის და გოგონებისთვის). სულ სასწავლო ფართში არის 12 სველი წერტილი (მ.შ 2 შშმ პირებისათვის). სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარული ჰიგიენის ნორმები; კოლეჯს სისტემატიურად ემსახურება დასუფთავების ზედამხედველობის სამსახური; ყველა სასწავლო აუდიტორიას აქვს ბუნებრივი განათება. კოლეჯი უზრუნველყოფილია გათბობით.

ბათუმი კ. მარჯანიშვილისა და ლ. ასათიანის კვეთაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, 2 სველი წერტილი (მ.შ. 1 შშმ პირებისათვის). არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულება თბება ელ.გამათბობლებით/კონდენციონერებით.

დასტურდება:

- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერება;
- შპს ,,ქობულეთის წყალ-კანალი“ ხელშეკრულება № 02-08/01;
- შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“ 05.05.2016 წ.;
- სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია" ხელშეკრულება № 1003-1/7-11;
- დასუფთავების ზედამხედველობის სამსახური; ხელშეკრულება № 1112. 29.12.2014წ.;
- ელექტრო ენერგიის, წყლის და გაზის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- გათბობის სისტემის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი-შპს ,,პოლიოთერმი“ ხელშეკრულება № 1/12, 5.12.2007 წ.;
- საიჯარო ხელშეკრულება;
- შპს ,,ბათუმის წყალი“ ხელშეკრულება № 5911. თარიღი: 15.05.2017წ.;
- შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულება № 687. თარიღი: 19.12.2016წ.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:
ექსპერტთა ჯგუფისმიერ გადამოწმებული იქნა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) და მოდულებში მითითებული ლიტერატურის მიხედვით და ხარვეზი არ გამოვლენილა.
სტანდარტის 2.3 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის კატალოგი;
- წიგნების ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: (ბ.ა.) _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა" საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის (23 ცალი), მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის. კოლეჯს გააჩნია შიდა ქსელი, ასევე შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და სტუდენტებისათვის.

კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, პრინტერით და პროექტორებით.

დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი.

კოლეჯის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკითა და პრინტერ-სკანერით. სტანდარტის 2.4 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- კოლეჯის მატერიალური რესურსების ბალანსზე რიცხული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალიზირებული კომპიუტერული ტექნიკა (სიმულატორები) - 4 ცალი; სერვერები - OPERA, MICROS, ფიდელიო, ბანკის ოპერატორი;
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი 3 ხაზი თითო 8 მბ/წმ;
- კოლეჯის მართვისათვის გამოიყენება: EFLOW, ელექტრონული ჟურნალი, კოდექსი, ორისი (ბუღალტრისთვის);
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესყიდვის აქტები-შპს „ალგორითმი" ხელშკრულება № 03-06/132, შპს „ალგორითმი" ხელშეკრულება № 44, შპს „ელიტკომპიუტერ" ხელშეკრულება№ 03-06/88.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

შეფასება:

კოლეჯში მოქმედებს საქმეთა ნომენკლატურა, რომელიც შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების, კოლეჯის საქმისწარმოების ინსტრუქციისა და დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის შესაბამისად. ნომენკლატურაში შეტანილია ყველა იმ საქმეთა სრული ჩამონათვალი რომელიც იქმნება კოლეჯის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. არის დატოვებული სარეზერვო ნომრები და საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებების შეტანა. საქმეთა ნომენკლატურა განიხილება კოლეჯის საექსპერტო კომისიის სხდომაზე, შესაბამისად იწერება ოქმი. მოწონების შემთხვევაში მტკიცდება საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის, წევრების მიერ და 5 წელში ერთხელ იგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ს.შ.კ. (საექსპერტო შემმოწმებელი კომისია)-თან შესათანხმებლად. შეთანხმების საფუძველზე ხდება საქმეთა ნომენკლატურით მუშაობა. ამასთან, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით eflow.emis.ge.

სტანდარტის 2.5 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- სსიპ საზოგადობერივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა" საქმეთა ნომენკლატურა ბრძანება № 01-04/01 04 იანვარი 2016 წელი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა" ბრძანება № 01-04/06 21.01.2015წ. საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები;
- გამოცემული აქტები და კორესპონდენციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

დაწესებულებაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; სამივე სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სულ: ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი 6 ცალი, ცეცხლმაქრი - 48 ცალი, ავტონომიური ბოლის დეტექტორი 70 ცალი.

ბათუმის ფილიალში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრი).

დაწესებულების სამივე კორპუსში და ბათუმის ფილიალში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შეადგინა შპს „სახანძრო უსაფრთხოებამ" და შეათანხმა ქობულეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსთან.

დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და სამკურნალო საშუალებებით. დაწესებულებას ჰყავს ექთანი, რომლის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა განაახორციელოს პირველადი სამედიცინო დახმარება, პერმანენტულად შეამოწმოს მედიკამენტები ვარგისიანობაზე.

კოლეჯში წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს დაცვის სამსახური და ამასთან, დაწესებულება აღჭურვილია ვიდეოკამერებით.

სტანდარტის 2. 6 პუნქტი დარღვეული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

დასტურდება:

- ხელშეკრულება №128/10 , სასაქონლო ზედნადები №52;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ვიზუალური დათვალიერება;
- საშტატო განრიგი;
- შპს „ნეოტექთან" გაფორმებული ხელშეკრულება № 100/5;
- სშსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი" 16.01.2014 წლის ხელშეკრულება № 03-06.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
შეფასება:

კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სხვა სახის სერვისების ხელმისაწვდომობას სსსმ პირებისათვის.
ქობულეთი, რუსთაველის ქ № 154-ში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 3 პანდუსი, 3 ლიფტი და შესაბამისად ადაპტირებული სველი წერტილები.
ბათუმის ფილიალში არის 1 პანდუსი, 1 ლიფტი და შესაბამისად ადაპტირებული სველი წერტილი.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს წვდომა აქვს: სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან, კომპიუტერულ ლაბორატორიებთან, ადმინისტრაციასთან, ასევე მათთვის საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგები.
დაწესებულებაში მუშაობს ინკლუზიური განათლების ორი სპეციალისტი.

სტანდარტის 2.7 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერება;
- საშტატო განრიგი.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

შეფასება:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, იგი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, კატალოგი, პერსონალი, ნორმატიული აქტები, პარტნიორი ორგანიზაციები, ბიბლიოთეკა და სხვა. ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მიღებებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებებით.

ინფორმაციის განახლების რეგულარულობის შემოწმების საშუალება ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა ვებ-გვერდზე მიმდინარე სამუშაოების გამო, შესაბამისად, დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში ინფორმაციის მიღების ინტერესი ვერ გადამოწმდა.

ვებგვერდი ქართულენოვანია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლისგან მიღებული იქნა ინფორმაცია, რომ მუშავდება მისი რუსულ და ინგლისურენოვანი თარგმანიც.

სტანდარტის 2.8 პუნქტის მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება:

- ვებ-გვერდი: www.kpc.ge;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი- შპს ,,კავკასუს ონლაინი" ხელშეკრულება № 03-08/14 18.01.2016;
- სს ,,სილქნეტი'' ხელშეკრულება№ 03-08/310 24.12.2015წ.;
- შპს ,,ა-ნეტი" ხელშეკრულება № 03-08/309 24.12.2015წ.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექვსწლიანი გეგმაში გაწერილი სტრატეგიული მიზნები თავსებადია მისიასთან. სტრატეგიული გეგმა განიხილება კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და შემდგომ მტკიცდება დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ერთწლიანი გეგმა უფრო დეტალურია, მოიცავს ცალკეულ აქტივობებს და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს. ერთწლიან სამოქმედო გეგმებში მოცემულია ყოველი აქტივობის პერიოდი, მითითებულია პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების დროს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო დირექტორის მიერ 2016 წლის 27 ივნისს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო 2017 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 11 სექტემბრის №08-01/09 ოქმის თანახმად, დამტკიცდა 2017 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

კოლეჯში ხორციელდება წლიური გეგმის შესრულების მონიტორინგი და წლის ბოლოს კეთდება წლიური ანგარიში. ანგარიშს ამზადებს დირექტორი და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები განთავსებულია ვებ-გვერდზე.

სტანდარტის 2.9 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2016 წლის 27 ივნისის ბრძანება № 01-04/83;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორთან ჩატარებული ოქმი № 7;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი № 08-01/05;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" სამეთვალყურეო საბჭოს 11 სექტემბრის №08-01/09 ოქმი;
- ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

დაწესებულების პერსონალია ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი. ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციები და ისისნი შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს.

სტანდარტის 3.1 პუნქტი დარღვეული არ არის.

დასტურდება:

- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

შეფასება:

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესაბამისობა კვალიფიკაციების მიხედვით, ასევე მათი თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. კოლეჯში 13 პროფესიულ სტუდენტზე მოდის პროგრამის განმახორციელებელი ერთი პირი. კოლეჯში დაცულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, რაც ვრცელდება პროგრამის განმახორციელებელ ყველა პირზე.
შესაბამისად სრულადაა დაკმაყოფილებული სტანდარტის 3.2 პუნქტის მოთხოვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____.

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

დასტურდება:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა ბაზა;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა ბაზა.

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:
დაწესებულებაში სწავლობს 1158 პროფესიული სტუდენტი და მუშაობს 95 პროფესიული მასწავლებელი. თანაფარდობაა 1/13.

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:
პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

პერსონალის შერჩევის და დანიშვნის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. ხელშეკრულებები მოიცავს ხელშეკრულების ყველა სავალდებულო რეკვიზიტს.

დასტურდება:

- ბრძანებები პროფესიულ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

IV. თანდართული დოკუმენტაცია

- მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. „სასტუმრო მომსახურების“ (დუალური მიდგომით);
2. სარესტორნო მომსახურების“ (დუალური მიდგომით);
3. „კულინარიის ხელოვნებისა“ (დუალური მიდგომით).

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მებაღე (დეკორატიული მცენარეების) მესამე საფეხურის მოდიფიცირებული სილაბუსები:

1. ბოტანიკის საფუძვლები;
2. დეკორატიული მებაღეობის საფუძვლები;
3. ინგლისური ენა;
4. მეწარმეობის საფუძვლები;
5. მიწათმოქმედების საფუძვლები;
6. მცენარეთა დაცვა;
7. ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები;
8. საინფორმაციო ტექნოლოგიები;
9. სასწავლო პრაქტიკა;
10. საწარმოო პრაქტიკა;
11. ხატვა, ფერწერა, გრაფიკა.

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს ბრძანება № 01-04/111;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2016 წლის 27 ივნისის ბრძანება № 01-04/83;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება № 01-04/106;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ს/კ [redacted]), ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან ს/კ [redacted] და ს/კ [redacted] სსიპ პროფესიული კოლეჯ „ბლექსი“-სთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

- ცვლილებების შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ს/კ [redacted], ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან ს/კ [redacted] და ს/კ [redacted] სსიპ პროფესიული კოლეჯ „ბლექსი"-სთან.

დანართი წარმოდგენილია 65 გვერდზე საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული ასლების სახით.

თბილისი 14.09.2017 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.